სტრესის დაძლევის სტრატეგიებისა და კონტროლის ლოკუსის კავშირი მკერდის კიბოს მქონე პაციენტებში

გიორგი ქიტესაშვილი

სამაგისტრონაშრომიწარდგენილიაილიასსახელმწიფოუნივერსიტეტისმეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზეკლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრისაკადემიურიხარისხისმინიჭებისმოთხოვნებისშესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიეროხელმძღვანელი:ქეთევანმაყაშვილიფსიქოლოგიისმეცნიერებათადოქტორი, პროფესორი

ილიასსახელმწიფოუნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ქიტესაშვილი 2015წ.

აბსტრაქტი

ფსიქოსომატიკა უმრავი დავადების ბიოფსიქოსოციალურ ხასიათს სწავლობს, ჩვენი ყურადღება შევაჩერეთ მკერდის კიბოზე, რადგნ ის სიმსივნეებს შორის ყველაზე გავრცელებული დიაგნოზია, ამასთან ადრეული სტადიაზე ძალიან იშვიათად სრულდება ლეტალური გამოსავლით. ჩვენი კვლევის მიზანია სტრესის დაძლევის მექანიზმების და კონტროლის ლოკუსის გამოყენების მნიშვნელობის გაანალიზება მკერდის კიბოთი დაავადებულ პაციენტებში. კვლევისათვის გამოვიყენთ ქარვერის და შრეიერის სტრესის დაძლევის სტრტეგიების კითხვარი და როტერის კონტროლის ლოკუსის შკალა. აღნიშნული კვლევის თანახმად კვლევაში მონაწილე მკერდის სიმსივნის მქონე პციენტებს გარეგანი კონტროლის ლოკუსის ტენდენცია გამოუვლინდათ, ხოლო ჯანმრთელები იყენებენ შინაგანი კონტროლის ლოკუსისა და ემოციზე ორიენტირებული დაძლევის სტრტეგიის კომბინაცის. ასევე პაციენტებში აღმოჩნდა კავშირი სამივე სტრატეგიას შორის, ჯანმრთელებში კი მხოლოდ პოზიტიურ დაძლევის მექანიზმებს შორის. აღნიშნული შედეგები დაეხმარებათ ადმიანებს სტრესის მენეჯმენტის ეფექტურობის გაზრდაში.

საძიებო სიტყვები: სტრესი, სტრესის დაძლევის სტრატეგიები, კონტროლის ლოკუსი, მკერდის კიბო.